ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 09

13 " იანვარი 2009 წ.

-203045349-
№11
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
[illegible]
-15- 01 2009
№010.260.030.38.101.012.639.

„ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №10 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ"

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №10 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში:

ა) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესყიდვის საშუალების შერჩევა და შერჩეული საშუალების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტაციის შედგენა (წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად), შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ორგანიზაციული უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან";

ბ) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციებიდან სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა ან/და განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტების (ინფორმაციის) გამოთხოვა და შესაბამისი მითითებების მიცემა.

გ.) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლა და ანალიზი, ამის შედეგად მათთვის მითითებების მიცემა და ქ. თბილისის მერისათვის შესაბამისი დასკვნების წარდგენა.

2.) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ[1]" ქვეპუნქტი:

ქ. თბილისი 0160, ფ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

„პ[1]) სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შემოსული საჩივრის განხილვის ორგანიზება და საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

ე.) დებულების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სამსახურის განყოფილებები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ფუნქციებს:

2. საგეგმო-საანგარიშგებო განყოფილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა – წლიური შესყიდვების გეგმის შედგენა, ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ დადგენილი ფორმით მოწოდებული წლიური მოთხოვნების საფუძველზე, წლიური შესყიდვების გეგმის შეჯერება, დამტკიცების უზრუნველყოფა და კორექტირება;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა.

გ) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

დ) ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნის, განვითარებისა და განახლების უზრუნველყოფა, რისთვისაც მოიპოვებს და ერთიანი სისტემატიზირებული ფორმით აგროვებს ინფორმაციებს შესყიდვებში მონაწილე ფირმების, მათ მიერ საქონლის მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მერიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (ასეთის შემთხვევაში) შესრულების შესახებ.

3. საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განყოფილება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – შესყიდვის საშუალების შერჩევა და შერჩეული საშუალების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შედგენა (წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად), შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ორგანიზაციული უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მომზადება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა, არქივის წარმოება;

დ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების ცვლილებებთან და საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით, შესაბამისი საქალაქო სამსახურების წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

4. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად –შესყიდვის საშუალების შერჩევა და შერჩეული საშუალების შესაბამისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტაციის შედგენა (წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად), შესყიდვის პროცედურების მომზადება, სატენდერო კომისიის აპარატის ფუნქციების შესრულება და სატენდერო პროცედურების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა, სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-გაცემა და აღრიცხვა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ორგანიზაციული უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მომზადება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა, არქივის წარმოება.

დ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების ცვლილებებსა და საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით, შესაბამისი საქალაქო სამსახურების წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

5. მონიტორინგისა და ესპერტიზის განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი ეფექტური შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების (მოთხოვნის და სხვა) ფორმების შემუშავება და ქ. თბილისის მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციებიდან სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა ან/და განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტების (ინფორმაციის) გამოთხოვა და შესაბამისი მითითებების მიცემა;

გ) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მერიის შესაბამის მოსამსახურეთა ცოდნის გაღრმავებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, სასწავლო ღონისძიებების მოწყობა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების გაწევა;

ე) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების

კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშგების წესების შესრულების დროულობისა და ხარისხის მონიტორინგი;

ვ) ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნის, განვითარებისა და განახლების უზრუნველყოფა, რისთვისაც მოიპოვებს და ერთიანი სისტემატიზირებული ფორმით აგროვებს ინფორმაციებს შესყიდვებში მონაწილე ფირმების, მათ მიერ საქონლის მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მერიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (ასეთის შემთხვევაში) შესრულების შესახებ;

ზ) ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლა და ანალიზი, ამის შედეგად მათთვის მითითებების მიცემა და ქ. თბილისის მერისათვის შესაბამისი დასკვნების წარდგენა;

თ) სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შემოსული სარჩელის განხილვის ორგანიზება და სარჩელის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

ი) სამსახურის სხვა განყოფილებებთან კოორდინაცია და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დროულად გაცნობა.

კ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი უგულავა